

მაგთი ქარდით სარგებლობის პირობები

მაგთი ქარდი - არის ვირტუალური ლოიალობის ბარათი, რომლის საშუალებით მაგთიკომის აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ, დააგროვონ ქულები და გადაცვალონ წინასწარ შექმნილ კატალოგში არსებულ მომსახურებებში.

მაგთი ქარდის გააქტიურება შესაძლებელია:

- პორტალიდან **MyMagti**;
- USSD-ით (მხოლოდ მაგთის მობილური მომხმარებლებისთვის);
- ცხელ ხაზზე დარეკვით.

პორტალით მაგთი ქარდის გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ იმ UID-ზე ან მობილურ ნომერზე, რომლითაც აბონენტი დარეგისტრირებულია პორტალზე. ამასთან, თითოეულ მობილურ ნომერზე ან UID-ზე უნდა გააქტიურდეს ცალკე მაგთი ქარდი.

რეგისტრაციის შემდეგ სააბონენტო ანგარიშზე ქულები ირიცხება შემდეგი პრინციპით*:

- მაგთი ქარდზე ქულები ირიცხება UID-ს შემთხვევაში ინტერნეტ, IPTV და VoIP მომსახურების სააბონენტო ანგარიშზე, ხოლო მობილური ნომრის შემთხვევაში, მობილურის სააბონენტო ანგარიშზე თანხის შეტანის დროს;
- ყოველი ჩარიცხული 1^ლ = 30 ქულა (ქულების დარიცხვა ხდება თეთრების დონეზე - 1თ = 0.3 ქულას);
- ქულების დარიცხვა განხორციელდება თანხის შეტანიდან მომდევნო დღეს;
- ქულები არ ირიცხება გადარიცხვის (Money transfer) სერვისით სააბონენტო ანგარიშზე თანხის შევსებისას.

* აბონენტებისათვის, რომლებიც დარეგისტრირდებიან 2019 წლის დეკემბერში, ქულების დაგროვება დაიწყება 2020 1 იანვრიდან.

ბარათის და ქულების გაუქმება

მაგთი ქარდის ქულები უქმდება ყოველ 3 წლის შემდეგ 31 დეკემბერს (მაგალითად, 2020 წელს დაგროვილი ქულები გაუქმდება 2023 წლის 31 დეკემბერს (2021, 2022, 2023 წლის ქულები კი დარჩება ბალანსზე)).

მაგთი ქარდის გაუქმება შესაძლებელია პორტალით, მხოლოდ იმ UID-ის ან მობილურის ნომრის მეშვეობით, რომლითაც აბონენტი დარეგისტრირებულია პორტალზე. ბარათის გაუქმების შემთხვევაში დაგროვებული ქულები უქმდება.

თუ მაგთი ქარდს აუქმებს ჯგუფის ლიდერი, ჯგუფი იშლება და ანულირდება ჯგუფში დაგროვილი ქულები.

მომსახურების ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, მაგთი ქარდი ავტომატურად უქმდება. ქულების არ აღდგება მომსახურების(ნომრის/UID) აღდგენის შემთხვევაში.

თუ აბონენტმა მოითხოვა თანხის გატანა და მის მიერ მოთხოვნილი თანხის ექვივალენტი ქულები ჯერ არ არის გახარჯული, გატანილი თანხის ექვივალენტი ქულები ანულირდება.

თუ აბონენტმა დახარჯა ქულები და შემდეგ მოინდომა თანხის გატანა, იგი ვერ შეძლებს დახარჯული ქულების ექვივალენტი თანხის განაღდებას/გადარიცხვას.

ბალანსის შემოწმება

მაგთი ქარდზე დაგროვილი ქულების შემოწმება შესაძლებელია პორტალზე MyMagti.

ჯგუფი

აბონენტს შეუძლია, შექმნას ჯგუფი სხვა ნომრებთან ერთად და მათ ანგარიშზე შეტანილი თანხითაც ქულების დარიცხვა მოხდეს ჯგუფის საერთო ანგარიშზე.

- ერთ ჯგუფში შესაძლებელია მაქსიმუმ 5 მაგთი ქარდის გაერთიანება;
- ჯგუფის შექმნა შესაძლებელია პორტალის საშუალებით;
- ჯგუფში გაწევრიანებული მაგთი ქარდების მიერ დაგროვილი ქულები გროვდება ჯგუფის საერთო ანგარიშზე;
- ჯგუფიდან ერთ-ერთი აუცილებლად არის მთავარი ნომერი (ლიდერი) და მხოლოდ მას შეუძლია ქულების გახარჯვა;
- დაგროვილი ქულებით ლიდერს შეუძლია MyMagti-ში დამატებულ ყველა ნომერზე მოახდინოს სერვისის გააქტიურება ქულების გადაცვლის გზით;
- ჯგუფში წევრის დამატება შეუძლია მხოლოდ ლიდერს;
- ჯგუფში შესაძლებელია როგორც უკვე გააქტიურებული მაგთი ქარდის მქონე აბონენტის, ასევე მაგთის ქარდის არმქონე აბონენტის დამატება. ასეთი აბონენტის ჯგუფში დამატება გულისხმობს მაგთი ქარდის გააქტიურებას. თუ აბონენტს მაგთი ქარდი გააქტიურებული აქვს ჯგუფში გაწევრიანებისას, უკვე არსებული ქულები დაემატება ჯგუფის ქულებს;
- თუ მაგთი ქარდი არის ჯგუფის წევრი, მისი დამატება სხვა ჯგუფში შეუძლებელია;
- ჯგუფში დამატებული მაგთი ქარდის მიერ ჯგუფის დატოვების შემთხვევაში, მის მიერ დაგროვებული ქულები რჩება ჯგუფში, გარდა ჯგუფის გასვლის დღეს დაგროვილი ქულებისა, რომელიც დარჩება მაგთი ქარდზე ან ახალ ჯგუფში გაწევრიანების შემთხვევაში დაემატება ახალი ჯგუფის საერთო ანგარიშს.

ქულების გამოყენება

მაგთი ქარდის ქულების გადაცვლა შესაბამის კატალოგში მითითებულ მომსახურებებში შესაძლებელია ნებისმიერ დროს პორტალიდან MyMagti. კატალოგი ხელმისაწვდომია პორტალზე.

- ლიდერს შეუძლია კატალოგში არსებული სერვისი გაუაქტიუროს მის MyMagti-ში დამატებულ ყველა ნომერს (და არა მარტო მის მაგთი ქარდის ჯგუფის წევრებს);
- ქულების გახარჯვისას გაიხარჯება უფრო ადრე დარიცხული ქულები.

ქულებით გააქტიურებული შეთავაზებების ვადის ამოწურვა

ქულებით გააქტიურებული მომსახურების/პაკეტის ვადის ამოწურვის შემდეგ, აბონენტებს მომსახურების მიწოდება გაუგრძელდებათ მის გააქტიურებამდე არსებული პირობებით.